FRESCO ფრესკო

სოფიო კორძახია (პ.ნ 01008022693) რომელიც წარმოადგენს **შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია"-ს** (ს.კ. **404504158**) გენერალურ დირექტორს, შემდგომში „მარწმუნებელი"

რიმა ლომაურს, შემდგომში როგორც „რწმუნებულ" პირს მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

„რწმუნებული" უფლებამოსილია იყოს **შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია"-ს წარმომადგენელი** საქართველოს პროკურატურაში, შსს ორგანოებში, ნებისმიერ ადმინისტრაციულ, საჯარო და კერძო დაწესებულებაში (მათ შორის მერიაში და მერიასთან დაქვემდებარებულ ნებისმიერ დაწესებულებაში), საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოში, სადაც „მარწმუნებელის" სახელით უფლება აქვს შეიტანოს ნებისმიერი მოთხოვნით დასაბუთებული სარჩელი, შესაგებელი, ნებისმიერი შუამდგომლობა, მოამზადოს და შეიტანოს საჩივარი, განცხადება, ადმინისტრაციული საჩივარი და წერილობითი პრეტენზია ნებისმიერ საკითხზე. „მარწმუნებელის" სახელით ჩააბაროს, გამოითხოვოს და მიიღოს ნებისმიერი ტიპის დოკუმენტი და აწარმოოს წერილობითი კორესპონდენცია, წარადგინოს განცხადებები და შუამდგომლობები, მიიღოს და ჩაიბაროს წერილობითი პასუხები, გამოითხოვოს საქმის მასალები, მონაწილეობა მიიღოს საქმის წარმოებაში როგორც მხარემ მისთვის მინიჭებული სრული უფლებამოსილებით. რწმუნებულს უფლება აქვს **„მარწმუნებლის"** სახელით ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გააჩნია „მარწმუნებელს", აგრეთვე მოახდინოს მხარესთან მორიგება, გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილებები, შეასრულოს ყველა აუცილებელი მოქმედება და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს, რაც ამ დავალებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული.

წინამდებარე მინდობილობა მოქმედებს ამ მინდობილობის გაუქმებამდე.

შპს „ფრესკო ვესტ ჯორჯია"

ს/კ 404504158

ფაქტ. მის: თბილისი, ოქროყანა, კოჯრის გზატკეცილი N3

გენერალური დირექტორი: სოფიო კორძახია

26.03.2019 წელი